

UDC 712.23

SCOPUS CODE 1206

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-22-29>

საქართველოს ეროვნული პარკების და დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური და კულტურული მიზნები

ნუგზარ ხვედელიანი არქიტექტურის, ურბანისტიკისა და გარემოს დიზაინის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ა
E-mail: n.khvedeliani@gtu.ge

ანა რატიანი არქიტექტურის, ურბანისტიკისა და გარემოს დიზაინის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ა
E-mail: ratiani.ana@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. ფოჩხუა, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: m.pochkhua@gtu.ge

გ. ნაცვლიშვილი, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ასოც. პროფესორი
E-mail: natsvlshviligia06@gtu.ge

ანოტაცია. ეროვნული პარკი იცავს სხვადასხვა დანიშნულების მრავალფეროვან ტერიტორიას. გარდა ამისა, ბუნებასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმი უფრო მასშტაბური საზოგადოებრივი ვალდებულების გამოვლინებაა. ადამიანები უნდა ეწვიონ ეროვნულ პარკს, რათა გაეცნონ და დააფასონ ადგილობრივი დაცული ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა.

ბუნებასთან ტრადიციული კავშირი, ხელოვნება და სახელოსნო ტრადიციები, საცხოვრებელი ადგილების მოწყობის თავისებურებები, რიტუალები, წეს-

ჩვეულებები მიეკუთვნება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის სფეროს – „ცოცხალ ტრადიციულ კულტურას“, რომელსაც ავრცელებს და ინარჩუნებს ეროვნული პარკების და დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა.

განხილულია მიდგომები და სახელმძღვანელო მითითებები, როგორ დავიცვათ და გამოვიყენოთ მემკვიდრეობის ძეგლები დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული თვალსაზრისით, ასევე მოყვანილია საზღვარგარეთის მაგალითები.

ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე არსებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეო-

ბის დაცვა, განვითარება და მათი შენარჩუნება მნიშვნელოვანი ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ობიექტები საქართველოს დაცული ტერიტორიებისთვის მნიშვნელოვანი ადგილებია.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა; ეროვნული პარკი; დაცული ტერიტორიის ინფრასტრუქტურა; ველური ბუნება; კონსერვაცია; კულტურული მემკვიდრეობა; ტრადიციული კულტურა.

შესავალი

მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ შექმნა სპეციალური მართვის სტრუქტურები მნიშვნელოვანი ისტორიული და კულტურული ძეგლებისთვის. ქვეყნის ისტორიაში ამ მნიშვნელოვანი ადგილების დაცვასა და ინტერპრეტაციას მაღალი ეროვნული პრიორიტეტი აქვს. ასეთ ადგილებში ხშირად დაცულია მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილები, პეიზაჟები, შენობები და არტეფაქტები. მაგალითად, კანადამ და აშშ-მა მათი ეროვნული, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა შეუერთა ეროვნული პარკების მართვის სააგენტოებს. ორივე ქვეყანაში ისტორიული მნიშვნელობის ასობით სპეციალური დაცული ადგილია.

ეროვნული პარკების, დაცული ტერიტორიების როლი გარკვეულწილად განსხვავდება იმ კულტურისა და ისტორიული ურთიერთობისგან, რომელიც იმყოფება. ზოგ შემთხვევაში, ეროვნული პარკები იცავს ადგილებს და ობიექტებს, რომლებიც ხაზს უსვამს ადგილობრივ მოვლენებს, ისტორიას, ხალხს და მნიშვნელოვანია ერისა და სახელმწიფოს ისტორიულ-კულტურული განვითარებისათვის.

სხვა სიტუაციაში, დაცული ტერიტორია სიმბოლურად მნიშვნელოვანი ადგილია, რომელსაც სხვადასხვა კულტურა გარემოს დაცვას ავალდებულებს. ავსტრალიაში დიდი ბარიერის რიფის საზღვაო პარკი ვალდებულია, დაიცვას და შეინარჩუნოს გლობალურად მნიშვნელოვანი საზღვაო და მარჯნის სახეობები, ასევე იქ წარმოდგენილი ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება. პენსილვანიის შტატში მდებარე ჯეიმსტონ ფლუდის ეროვნული ისტორიული ადგილი განსაზღვრავს, თუ საიდან გაჩნდა მცირე კაშხალი – ძლიერი წვიმის შემდეგ, მე-19 საუკუნის დასაწყისში, დაიტბორა დაბალ დონეებზე მცხოვრები საზოგადოება. ასეთი დაცული ტერიტორიები შეიძლება შეიცავდეს ღირებულებებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც მნიშვნელოვანია არამხოლოდ იმ ქვეყნისთვის, სადაც ისინი მდებარეობს, არამედ მსოფლიოს მოსახლეობისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ტერიტორია შეიცავს გლობალურად მნიშვნელოვან მახასიათებლებს, მან შეიძლება მიიღოს "მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის" სტატუსი. მაგალითად, გლასიერის ეროვნული პარკი მონტანაში, რომელიც აღიარებულია გამორჩეული ლანდშაფტის გამო.

ძირითადი ნაწილი

ბუნებრივი კონსერვაციის გარდა, დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასპინძელ რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში. ტურიზმის განვითარების პროცესში მოთხოვნილება იზრდება ისტორიულ, არქიტექტურულ ან არქეოლოგიურ რესურსებზე, რაც სახსრებს ქმნის მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობებისა და შენობების შენარჩუნებისთვის.

ტურიზმის საშუალებით ადგილობრივი მოსახლეობა შეიძლება უშუალოდ ჩაერთოს რეგიონის შესახებ ავთენტური გამოცდილების მიწოდებაში. ეს ადგილობრივ ადამიანთა ცნობიერებას ალბიძებს ძვირფასი ტრადიციების და მათი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, ასევე ზრდის სიამაყეს რეგიონებსა და მცხოვრებლებში.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში გარემოს დაცვით საკითხებს ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) აქტიურად მუშაობს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონსერვაციისა და მდგრადი განვითარების ინოვაციური მიდგომების დასაწერად.



მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკი



კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები

მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 2021 წელი საქართველოს ოთხი დაცული ტერიტორიისთვის. დასავლეთ საქართველოში მდებარე ოთხ დაცულ ტერიტორიას UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა. მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები მსოფლიო მასშტაბით არსებულ იმ 210 ადგილს შეუერთდა, რომელთაც UNESCO-საგან მსგავსი სტატუსი აქვს მინიჭებული.

საქართველოს დაცულმა ტერიტორიებმა მსგავსი აღიარება პირველად მიიღო.

ზემოთ ნახსენები დაცული ტერიტორიები კოლხური ტყეებისა და ჭაობების დაცვის მიზნითაა შექმნილი და ტურისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პუნქტებია.

სიაში დაცული ტერიტორიები UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის 2021 წლის გადაწყვეტილებით შეიყვანეს. ამ სიაში ასევე

გვხვდება შეერთებულ შტატებში მდებარე იელოუს-ტოუნის ეროვნული პარკი, შვეიცარიის ალპები, ამაზონის ტყე და მსოფლიოში სხვა ცნობილი ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე პუნქტები.

დასავლეთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი შავი ზღვის აუზსა და სამხრეთ კავკასიის ეკოლოგიურ სისტემაში შეტანილი წვლილის გამო მიენიჭა. UNESCO-ს მიერ გამორჩეულ ადგილებს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო მეურვეობს.

გარდა დაცული ტერიტორიებისა, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში სამი ქართული კულტურული ძეგლი: გელათის მონასტერი, მცხეთის ისტორიული მონუმენტები და ზემო სვანეთიც გვხვდება.

როგორც „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმის“ დოკუმენტში ვკითხულობთ, დაცულ ტერიტორიებზე შექმნილია არსებული კულტურული ძეგლების სრული მონაცემთა ბაზა, ჩატარებულია კვლევა და მომზადებულია ანგარიში, ბუნების კონსერვაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ფასეულობების შესახებ.

გვინდა ხაზი გავუსვათ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციისა და ინვენტარიზაციის აუცილებლობას. ამ მხრივ, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სრული მეთოდოლოგიური მხარდაჭერა. უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიულ-კულტურული ობიექტები, დაცული ტერიტორიების ყველაზე მნიშვნელოვან მემკვიდრეობას და ბუნებრივ უპირატესობებთან ერთად, მნიშვნელოვნად ზრდის დაცული ტერიტო-

რიების ღირებულებას, მათ ტურისტულ მიმზიდველობას და ადგილობრივ მოსახლეობას უწყევს დახმარებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შევიმუშავეთ 4 ძირითადი მიდგომა, თუ როგორ დავიცვათ და გამოვიყენოთ არსებული მემკვიდრეობის ძეგლები და შენობები დაცულ ტერიტორიებზე:

1. **დაცვა.** არსებული არტეფაქტების და ობიექტების სტაბილიზაცია და დაცვა;

2. **რესტავრაცია.** ნაგებობებისა და არტეფაქტების განახლება, რომლებიც ჰარმონიულად უნდა ინტეგრირდეს მთლიან ნაგებობასთან;

3. **ხელახლა შექმნა.** ახალი სტრუქტურების ან არტეფაქტის შექმნა, რომელიც ზუსტად შეცვლის დაკარგულ, განადგურებულ ობიექტებს;

4. **ადაპტაცია.** სტრუქტურის ნაწილის აღდგენა, მაგრამ სხვა ნაწილების გამოყენება, რათა ტურიზმისთვის უფრო სასარგებლო გახდეს.

არქიტექტურული მემკვიდრეობის შენობების ტურიზმისთვის გამოყენება ბევრ ტექნიკურ სირთულეს წარმოშობს, როგორცაა: ადამიანის გადაადგილება, ვიზიტორებს შორის ინფორმაციის გავრცელება, უსაფრთხოება შენობებისა და ხალხისთვის, საკვების მიწოდება და მომსახურება, როგორცაა ელექტროენერგია, სანიტარია და წყლის განაწილება. ტურიზმის განსავითარებლად საჭირო ინფრასტრუქტურა შეიძლება დაკმაყოფილდეს განახლებულ და ადაპტირებულ შენობებშიც, თუმცა ხშირად საჭიროა შემოქმედებითი გადაწყვეტილების მიღება. მემკვიდრეობის შენარჩუნება და აღდგენა ძალიან ფრთხილად უნდა დაიგეგმოს და შესრულდეს – ტურისტების მაქსიმალური უზრუნველყოფა კარგი ინტერპრეტაციით და, ამავედროუ-

ლად, შენარჩუნებულ იქნეს მემკვიდრეობა მაღალ დონეზე.

სახელმძღვანელო მითითებები. ნებისმიერი ახალი შენობისთვის (მაგალითად, ტურიზმის მიზნით) ეს ასევე მოიცავს ისტორიული ნაგებობის მქონე შენობებს:

- ✓ არსებული შენობების ხასიათთან მუშაობა;
- ✓ სასურველია ყურადღება გამახვილდეს ადგილობრივ არქიტექტურულ სტილსა და მასალებზე (ეს სულაც არ არის შეუთავსებელი თანამედროვე არქიტექტურასთან);
- ✓ დაინტერესებული მხარეების ჩართვა არქიტექტურული გადაწყვეტილების ძიებაში.

დასკვნა

ვინაიდან მემკვიდრეობა თითოეულ კულტურაში სპეციფიკურია, დაცული ტერიტორიების განსაზღვრამდე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მემკვიდრეობის ღირებულებების გარკვევას. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმს შეუძლია განსაკუთრებული სტიმული მისცეს ასეთი ტერიტორიების შენარჩუნებას როგორც მისი სანდოობის გაზრდით, ისე სახსრების მოზიდვით, დაცული ტერიტორიების მენეჯერები ყოველთვის უნდა ითვალისწინებდნენ ყველა სახის კულტურული ძეგლის სპეციალურ სა-

ჭიროებებს. კანონმდებლობით, კულტურულ მემკვიდრეობად დასახელებული რესურსები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მაგრამ, რადგან აქტიურმა ტურიზმმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მემკვიდრეობის ძეგლებზე, ყოველთვის საჭიროა ზემოქმედების ფრთხილად გააზრება და მენეჯმენტი.

XXI საუკუნეში, მით უმეტეს კი კოვიდ 19 რეალობაში, ტურიზმი არის და უნდა იყოს მთავარი სასაუბრო თემა საკონსერვაციო ტერიტორიებზე. მას შემდეგ, რაც მსოფლიო მოსახლეობა გაიზარდა და გაუმჯობესებულმა სატრანსპორტო საშუალებებმა დიდ დისტანციებზე სწრაფი გადაადგილების შანსი მოგვცა, ტურიზმი ბევრად უფრო აქტიური გახდა დაცულ ტერიტორიებზე. ტურიზმი, სხვა დანარჩენი ინდუსტრიისგან განსხვავებით, მოითხოვს ლამაზ ბუნებრივ ტერიტორიებს, ჯანსაღ ველურ ბუნებას და კულტურებს, რომლებსაც ავთენტიკურობა შენარჩუნებული აქვს. აქედან გამომდინარე, ტურიზმის შესაძლებლობა, შექმნას ეროვნული შემოსავალი და სამუშაო ადგილები, შეიძლება იმოქმედოს როგორც ძირითადმა მამოძრავებელმა ძალამ, ერთი მხრივ, რათა შეინარჩუნოს და მართოს ხელუხლებელი ბუნებრივი ტერიტორიები და, მეორე მხრივ, დაიცვას განადგურებისგან.

ლიტერატურა

1. Beradze, D. (2021, July 27). *Georgia's 4 protected areas have been granted UNESCO World Natural Heritage status*. Forbes Georgia. Retrieved from: <https://forbes.ge/saqarthvelos-4-datsul-teritorias-unesco-s-msophlio-bunebrivi-memkvidreobis-statusi-mienitcha/>
2. Eagles, P., McCool, S. (n.d). Tourism in national parks and protected areas. Planing and manajment.
3. Leung, Yu., Spenceley, A., Hvenegaard, G., and Buckley, R. (eds.). (2018). Tourism and visitor management in protected areas: Guidelines for sustainability.
4. *Georgian Protected Areas System Development Strategy and Action Plan*. (In Georgian);
5. Wikipedia contributors. (2022, January 19). *National Park Service*. Wikipedia.
https://en.wikipedia.org/wiki/National_Park_Service
6. Wikipedia contributors. (2022b, January 19). *Protected area*. Wikipedia.
https://en.wikipedia.org/wiki/Protected_area
7. Agency of protected areas. <https://apa.gov.ge/ge/> (In Georgian);
8. *Building History: Architecture in National Parks*. (2021, September 29). U.S. Department of the Interior.
<https://www.doi.gov/blog/building-history-architecture-national-parks>
9. Murphy, S. A. (2014). Sustainable tourism development in UK National Parks: Principles, Meaning & Practice.
10. Arsenieva, E., Kuskov, A. (2005). Ecotourism potential of specially protected natural areas and problems of its use. https://tourlib.net/statti_tourism/arsenjeva6.htm (In Russian);
11. Yakovleva, I., Bulatova, V., Kuklina, S. (2015). The role of ecological Tourism in the development of specially protected natural areas and the economy of the region. Basic Research, 15 (5). <https://www.fundamental-research.ru/ru/article/view?id=39560> (In Russian).

UDC 712.23

SCOPUS CODE 1206

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-22-29>

Ecological and Cultural Goals of Georgian National Parks and Protected Areas

Nugzar Khvedeliani Department of Architecture, Urban Planning and Ecological Design, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a, M. Kostava str.

E-mail: n.khvedeliani@gtu.ge

Ana Ratiani Department of Architecture, Urban Planning and Ecological Design, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a, M. Kostava str.

E-mail: ratiani.ana@gtu.ge

Reviewers:

M. Pochkhua, Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU

E-mail: m.pochkhua@gtu.ge

G. Natsvlshvili, Associate Professor, Faculty of Architecture, Urban Planning and Design, GTU

E-mail: natsvlshviligia06@gtu.ge

Abstract. National parks protect a variety of areas for a variety of purposes. In addition, nature and culture-based tourism on an individual scale is a manifestation of a larger community commitment. People should visit the national parks to learn about and appreciate the locally preserved natural and cultural heritage.

Traditional connection with nature, arts and crafts traditions, peculiarities of arrangement of dwellings, rituals, customs belong to the field of historical and cultural heritage – "living traditional culture", which is spread and preserved by the population living in national parks and protected areas.

Approaches and guidelines on how to protect and at the same time use heritage sites in protected areas from a tourism perspective are discussed. The article also includes examples from abroad.

The purpose of the article is to protect, develop and preserve the historical and cultural heritage of national parks and protected areas. It should be noted that such facilities are one of the most important places for the protected areas of Georgia.

Keywords: architecture; conservation; cultural heritage; national Park; protected area infrastructure; traditional culture; wild nature.

UDC 712.23

SCOPUS CODE 1206

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-1-22-29>

Экологические и культурные цели национальных парков и охраняемых территорий Грузии

Нугзар Хведелиани Департамент архитектуры, урбанистики и экологического дизайна, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 68^a
E-mail: n.khvedeliani@gtu.ge

Анна Ратиани Департамент архитектуры, урбанистики и экологического дизайна, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава 68^a
E-mail: ratiani.ana@gtu.ge

Рецензенты:

М. Почхуа, профессор факультета архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ
E-mail: m.pochkhua@gtu.ge

Г. Нацвлишвили, ассоциированный профессор факультета архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ
E-mail: natsvlishviligia06@gtu.ge

Аннотация. Национальные парки охраняют различные территории для различных целей. Кроме того, природный и культурный туризм в индивидуальном масштабе является проявлением более широкой приверженности сообщества. Люди должны посетить национальные парки, чтобы узнать и оценить местное природное и культурное наследие.

Традиционная связь с природой, традиции декоративно-прикладного искусства, особенности устройства жилища, обряды, обычаи относятся к области историко-культурного наследия – «живой традиционной культуры», которая распространяется и сохраняется населением, проживающим в национальных парках и заповедных зонах.

В статье обсуждаются подходы и рекомендации о том, как защитить и в то же время использовать объекты наследия на охраняемых территориях с точки зрения туризма. В статье также приводятся примеры из-за рубежа.

Цель статьи – охрана, развитие и сохранение историко-культурного наследия национальных парков и особо охраняемых природных территорий. Следует отметить, что такие объекты являются одними из самых важных мест для охраняемых территорий Грузии.

Ключевые слова: архитектура; дикая природа; инфраструктура охраняемой территории; консервация; культурное наследие; национальный парк; традиционная культура.

განხილვის თარიღი 21.01.2022

შემოსვლის თარიღი 27.01.2022

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2022